საგაკვეთილო სცენარი

მოამზადა რუსუდან თედორაძემ

საგანი: ბუნებისმეტყველება

კლასი: IV

თემა: დედამიწა (ცოცხალი პლანეტის კვლევა)

დრო: 45 წუთი

მისაღწევი შედეგები (ინდიკატორები):

მოსწავლე შეძლებს:

1. ამოიცნოს და დაასახელოს დედამიწის ძირითადი შრეები;
2. ახსნას დღე-ღამის მონაცვლეობის მიზეზი;
3. გამოხატოს პასუხისმგებლობა გარემოს მიმართ და გამოთქვას ზრუნვის სურვილი;
4. აქტიურად ჩაერთოს ჯგუფურ კვლევით საქმიანობაში.

გაკვეთილის მსვლელობა:

I. შესავალი ეტაპი – „დედამიწის გულისცემა“ (10 წთ)

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს აუდიო-ასოციაციით; მოსწავლეებს ასმენინებს: ქარის, წყლის ჩხრიალის, ჩიტების ჭიკჭიკისა და ცხოველების ხმებს.

კითხვები დისკუსიისთვის:

- რა ხმები გაიგონეთ?
- სად შეიძლება ეს ხმები მოვისმინოთ?
- რას გვეუბნება ეს ხმები დედამიწის ბუნებაზე?

ამის შემდეგ მასწავლებელი აჩვენებს ფოტოებს დედამიწის სხვადასხვა ლანდშაფტით და სვამს „პრობლემურ“ კითხვას:

„დედამიწას ლაპარაკი რომ შეეძლოს, რას გვეტყოდა?“

II. ახალი თემის შესწავლა – „მოგზაურობა დედამიწის შრეებში“ (15 წთ)

ჯგუფური სამუშაო: მასწავლებელი მოსწავლეებს ჰყოფს ოთხ ჯგუფად, ურიგებს მათ კონვერტებს ინსტრუქციით და რესურსით. მოსწავლეები ქმნიან დედამიწის მინი-მოდელს პლასტილინის ფერადი ბურთულების გამოყენებით. ფერები ნაწილდება შემდეგნაირად:

- **ყვითელი** – ბირთვი
- **წითელი** – მანტია
- **მწვანე/ყავისფერი** – დედამიწის ქერქი (ხმელეთი)
- **ლურჯი** – წყლის გარსი

ჯგუფები ქმნიან მოდელს, შემდეგ ჭრიან შუაზე და აკვირდებიან შრეების განლაგებას; ადარებენ მათ სისქეს და აღწერენ თითოეულის დანიშნულებას.

III. კვლევითი აქტივობა – „როგორ იცვლება დღე და ღამე?“ (10 წთ)

სიმულაცია: მასწავლებელი კლასის ცენტრში ათავსებს სანათს, რომელიც მზეს განასახიერებს და მის გარშემო ხაზავს წრეს “ორბიტას“; ერთი მოსწავლე ასრულებს „დედამიწის“ როლს.

პროცესი: მოსწავლე („დედამიწა“) ნელა ტრიალებს (ბრუნავს) საკუთარი „ღერძის“ გარშემო. დანარჩენები აკვირდებიან, სხეულის რომელი მხარეა განათებული და რომელი ბნელი.

დასკვნა: მოსწავლეები აჯამებენ დაკვირვების შედეგს: დედამიწის ბრუნვა საკუთარი ღერძის გარშემო იწვევს დღისა და ღამის მონაცვლეობას.

IV. შემაჯამებელი ეტაპი – „დედამიწა ჩემი სახლი“ (10 წთ)

აქტივობა: მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალებას - სტიკერებზე დაწერონ პასუხები კითხვაზე, „რას ვუსურვებ დედამიწას?“

მოსწავლეები პასუხებიან სტიკერებს აკრავენ პლანეტის დიდ პლაკატზე და კლასს უზიარებენ თავიანთ იდეებს თუ რას უსურვებენ დედამიწას, როგორ დაიცვან ის.

V. ეტაპი - შეფასება

შეფასების მეთოდი:

დაკვირვება შემდეგ კომპონენტებზე:

- ჯგუფურ მუშაობაში ჩართულობა;
- კვლევით აქტივობაში მონაწილეობა და დაკვირვების უნარი;
- გარემოზე ზრუნვის იდეების ადეკვატური ფორმულირება.

საგაკვეთილო სცენარს ახლავს პრეზენტაცია, რომელიც, სცენარზე დაყრდნობით, მოამზადა ხელოვნურმა ინტელექტმა (იხ. [პრეზენტაცია](#)).